# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1238

20/12/2019 ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისის'' მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე**

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 47 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს, ქ. თბილისში, შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისის'' მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N6 (30.10.2019);
2. შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისმა" უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის და N3 (30.10.2019); გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება 5 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი